# ამერიკის შეერთებული შტატების ციფრული ადვოკატირება:

# პანდემიის პერიოდის სახალხო დიპლომატია საქართველოს გაძლიერებისთვის

UNITED STATES OF AMERICA · U.S. EMBASSY TBILISI

GCSD

# ამერიკის შეერთებული შტატების ციფრული ადვოკატირება: პანდემიის პერიოდის სახალხო დიპლომატია საქართველოს გაძლიერებისთვის

ავტორი: მარიამ ხატიაშვილი

თბილისი, 2021

ავტორის შესახებ:

**მარიამ ხატიაშვილი** - ამერიკისმცოდნეობის დოქტორი და სახალხო დიპლომატიის მკვლევარია. 2017 წელს მან მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მკვლევართა გაცვლით პროგრამაში. იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნიევრსიტეტში. მისი კვლევის სფერო ამერიკისმცოდნეობის დარგში ინტერდისციპლინურია და ძირითადად, სახალხო დიპლომატიისა და საგარეო პოლიტიკის შესწავლას მოიცავს. მარიამი, ამ მიმართულებით, სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომლებიც გამოცემულია, როგორც საქართველოში, ასევე შეერთებულ შტატებში.

დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს ალუმნი საგრანტო პროგრამის ფარგლებში. კვლევაზე პასუხისმგებელია მისი ავტორი და შინაარსი არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც აშშ-ის საელჩოს ან საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიცია და მოსაზრება.

Funded through the Alumni Grants Program, U.S. Embassy in Georgia. The content of this document is the sole responsibility of the author and can under no circumstances be regarded as reflecting the position of the U.S. Embassy in Georgia or Georgian Center for Strategy and Development.

# სარჩევი

აბსტრაქტი — 1

შესავალი — 2

საკვლევი საკითხი — 3

კვლევის მეთოდები, აქტუალობა და მნიშვნელობა — 4

ტერმინოლოგიური განსაზღვრება — 5

1. ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობა სახალხო დიპლომატიის კონტექსტში — 7

2. ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია პანდემიის პერიოდში — 9

3. ამერიკის შეერთებული შტატების ციფრული ადვოკატირება საქართველოში — 11

3.1. პანდემიის თემატიკა ციფრული კომუნიკაციის კონტექსტში — 12

3.2. პანდემიის პერიოდში საქართველოს მიმართ შეერთებული შტატების მთავრობის დახმარება — 14

3.3. პანდემიის პერიოდის სახალხო დიპლომატიის აქტივობები ციფრულ ფორმატში — 15

4. ციფრული ადვოკატირება: ხანგრძლივი თანამშრომლობა ურთიერთობის გაფართოებისთვის — 17

დასკვნა — 19

გამოყენებული მასალები — 20

# აბსტრაქტი

აღნიშნული თემა კორონავირუსის პანდემიის მაგალითზე შეისწავლის კრიზისის დროს კომუნიკაციის საკითხებს. კვლევა ადვოკატირების შესახებ სახალხო დიპლომატიის პროფესორის ნიკოლას ქალის კონცეფტუალურ თვალსაზრისს ეფუძნება. კვლევის ფარგლებში, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული ის საკომუნიკაციო აქტივობებია განხილული, რომლებიც კორონავირუსის პანდემიის პერიოდში, კრიზისთან გასამკლავებლად, ქვეყნის გაძლიერებას ისახავს მიზნად. ნიკოლას ქალის თვალსაზრისზე დაფუძნებით, სახალხო დიპლომატიაში ადვოკატირების მიდგომის გათვალისწინებით, კვლევის კონკრეტული მიზანია გაანალიზდეს: (1) პირდაპირი მოწოდება (Direct appeal): როგორ წარადგენს შეერთებული შტატები საკომუნიკაციო აქტივობებით საქართველოში იმ პოლიტიკას, რომელიც, პანდემიის პერიოდში, კრიზისთან გამკლავებაში, საქართველოს გაძლიერებას ისახავს მიზნად; (2) არაპირდაპირი მოწოდება (Indirect appeal): როგორ გადასცემენ საქართველოში გადაწყვეტილების მიმღები პირები, კრიზისთან გასამკლავებლად ქვეყნის გაძლიერებისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ შეტყობინებებს ქართულ საზოგადოებას; (3) შეტყობინების სივრცის გაზრდა (Crowding the message space): როგორ არის კრიზისთან გამკლავებაში საქართველოს გაძლიერებისთვის პირდაპირი და არაპირდაპირი მოწოდება ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიაში ინტეგრირებული; (4) პარტნიორობა (Partnership): როგორ აძლიერებს და ამზადებს პანდემიის პერიოდის ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია საქართველოს სხვა სამომავლო პანდემიასთან და კრიზისთან გასამკლავებლად. კვლევის აქტუალობას როგორც თანამედროვე საქართველოს საგარეოპოლიტიკური რეალობა, ასევე, შეერთებული შტატების როლი განაპირობებს. ეს უკანასკნელი, სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში, სწრაფადცვალებად პანდემიის პერიოდში, საქართველოს ადვოკატირებით ეხმარება იმგვარად, რომ ეს გამოცდილება ქართული დიპლომატიის შემადგენელი კომპონენტი გახდეს, თანამშრომლობითი სტრატეგიული კომუნიკაციის გაძლიერების საშუალებით, აწმყო და მომავალ პანდემიურ პროცესებთან გასამკლავებლად. პანდემიის პერიოდში, საქართველოში ამერიკული ადვოკატირების კვლევა გვეხმარება გავაანალიზოთ სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულებით არსებული ისეთი საკითხები, როგორებიცაა, მაგალითად, საერთაშორისო კომუნიკაციის ტენდენციები და სახალხო დიპლომატიის დინამიკა ჰიბრიდული გამოწვევების ფონზე. აღნიშნული კვლევა ინტერდისციპლინურია და აერთიანებს ჰუმანიტარული, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა დარგს, მათ შორის: ისტორიას, ამერიკისმცოდნეობას, სახალხო დიპლომატიას, მედიის კვლევას, ჟურნალისტიკას, საერთაშორისო ურთიერთობასა და ეროვნულ უსაფრთხოებას. კვლევის მეთოდოლოგიური ბაზა, ამ დარგებში აპრობირებულ სხვადასხვა მეთოდს ეფუძნება. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ისტორიული კომპარატივისტიკის, კრიტიკული ანალიზის, პირველწყაროების ანალიზის, შემთხვევის შესწავლის, შედარებითი ანალიზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები. ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით იქნება აღწერილი პანდემიის პერიოდში შეერთებული შტატების საკომუნიკაციო აქტივობები საქართველოში. კომპარატივისტიკის, კრიტიკული ანალიზის მეთოდებისა და სამეცნიერო ობიექტურობის პრინციპების საშუალებით, საკითხი სხვადასხვა საგარეოპოლიტიკური მოვლენის დინამიკაში იქნება შესწავლილი და შედარებული. პირველწყაროების, მაგალითად, სიტყვით გამოსვლის ტექსტების შინაარსის შესწავლისა და ანალიზისთვის ძირითადად კოგნიტური კარტირების მეთოდი, კონტენტ-ანალიზი და ინტენტ-ანალიზი გამოიყენება. სახალხო დიპლომატიასთან დაკავშირებული მოვლენების სტრუქტურირებისთვის კი, ივენთ-ანალიზია გამოყენებული. ასევე,

კვლევის ფარგლებში, კრიზისის პერიოდში ამერიკული საკომუნიკაციო სტრატეგიის სამიზნე ქვეყნისთვის გამოცდილების გაზიარების კონტექსტის, შესაძლებლობისა და გამოწვევების შესაფასებლად, ვგეგმავ ინტერვიუების ჩატარებას ამერიკელ დიპლომატებთან და სახალხო დიპლომატიის მკვლევარ-პროფესორებთან. იმის გამო, რომ საკვლევი თემა საკითხის სისტემური შესწავლის პირველი მცდელობაა, წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადად ეფუძნება პირველად წყაროებს.  ეს აკადემიური ნაშრომი საინტერესო იქნება როგორც ქართული სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორისთვის. ეს მათ როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავებაში, ასევე სამუშაო პრაქტიკის გაუმჯობესებაში დაეხმარება.

# შესავალი

კოვიდ-19-ის პანდემიამ ამერიკული სახალხო დიპლომატია ახალი შესაძლებლობებისა და გამოწვევების წინაშე დააყენა. საზღვარგარეთ საკომუნიკაციო აქტივობების შემუშავების, წარმართვისა და განხორციელების გამოცდილება, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აქტიურად ცივი ომის პერიოდში დააგროვა და რომელიც თანამედროვე ამერიკული სახალხო დიპლომატიის საფუძველს წარმოადგენს,  ახალ რეალობას ერგება. მართალია, ამერიკული სახალხო დიპლომატიის ისტორიაში ბევრია სხვადასხვა სახის, მათ შორის, ეკონომიკურ კრიზისთან, სამხედრო, პოლიტიკურ, უწყებრივ თუ სტრუქტურულ კრიტიკულ მოვლენასთან დაკავშირებული შემთხვევა, მაგრამ, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის თანმდევი ამერიკული სახალხო დიპლომატიის აქტივობები, შინაარსობრივად და მიზნობრივად, ისტორიული გამოცდილებისგან განსხვავებულია. კორონავირუსის პანდემიის მაგალითზე, საქართველოში შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული საერთაშორისო საკომუნიკაციო ღონისძიებები, ორმხრივი ურთიერთობის კონტექსტში, ამერიკული სახალხო დიპლომატიის განხილვისთვის,  კომუნიკაციის საკითხების შეფასებისა და მისი სამომავლო განვითარებისთვის პოტენციურად უფრო მეტ პოზიტიურ გამოცდილებას ქმნის.

# საკვლევი საკითხი

სახალხო დიპლომატიაში, ადვოკატირების მიდგომის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებულია აღნიშნული კვლევის საკითხები:

1. პირდაპირი მოწოდება (Direct appeal): როგორ წარადგენს შეერთებული შტატები საკომუნიკაციო აქტივობებით საქართველოში იმ პოლიტიკას, რომელიც პანდემიის პერიოდში კრიზისთან გამკლავებაში საქართველოს გაძლიერებას ისახავს მიზნად;
2. არაპირდაპირი მოწოდება (Indirect appeal): როგორ გადასცემენ საქართველოში მოსაზრებების მიმღები პირები კრიზისთან გასამკლავებლად საქართველოს გასაძლიერებლად ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ შეტყობინებებს ქართულ საზოგადოებას;
3. შეტყობინების სივრცის გაზრდა (Crowding the message space): როგორ არის ინტეგრირებული პირდაპირი და არაპირდაპირი მოწოდება ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიაში კრიზისთან გამკლავებაში საქართველოს გაძლიერებისთვის;
4. პარტნიორობა (Partnership): როგორ აძლიერებს და ამზადებს პანდემიის პერიოდის ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია საქართველოს სხვა სამომავლო პანდემიასთან და კრიზისთან გასამკლავებლად;

კვლევის ამ საკითხების შეფასება გვეხმარება განვსაზღვროთ, პანდემიის პერიოდში, საქართველოში განხორციელებული სახალხო დიპლომატიის აქტივობები (1) როგორ ეხმარება შეერთებულ შტატებს მიაღწიოს საგარეოპოლიტიკურ მიზნებსა და ამოცანებს, განამტკიცოს ეროვნული ინტერესები და გააძლიეროს ეროვნული უსაფრთხოება; (2) როგორ ეხმარება შეერთებულ შტატებს საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებითა და მასზე გავლენის მოხდენით გააფართოვოს და გააძლიეროს ურთიერთობა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მთავრობას, ასევე მოსახლეობას შორის.

ამ საკითხების შესაფასებლად, კვლევაში აღწერილია ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობა სახალხო დიპლომატიის კონტექსტში. ამ ურთიერთობის აღწერა, საკითხის შესასწავლად, სახალხო დიპლომატიის კონტექსტს აყალიბებს. ასევე, განხილულია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ციფრული ჩართულობის სტრატეგია კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში. ამ სტრატეგიის განხილვა გვეხმარება შევაფასოთ, როგორ მოერგო ამერიკული საკომუნიკაციო აქტივობები ქართული საზოგადოების საჭიროებებს. ამ საკითხის განხილვა ასევე საჭიროა საქართველოში შეერთებული შტატების იმ ციფრული ადვოკატირების მიდგომების განსაზღვრისთვის, რომლებიც, პანდემიის პერიოდში, ამ ორ სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური მიზნების მიღწევასა და არსებული ურთიერთობის გაღრმავებაში ეხმარება.

# კვლევის მეთოდები, აქტუალობა და მნიშვნელობა

კვლევის აქტუალობას, როგორც თანამედროვე საქართველოს საგარეოპოლიტიკური რეალობა, ასევე, შეერთებული შტატების როლი განაპირობებს. ეს უკანასკნელი, სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში, სწრაფადცვალებად პანდემიის პერიოდში, საქართველოს ადვოკატირებით ეხმარება იმგვარად, რომ ეს გამოცდილება ქართული დიპლომატიის შემადგენელი კომპონენტი გახდეს, თანამშრომლობითი სტრატეგიული კომუნიკაციის გაძლიერების საშუალებით, აწმყო და მომავალ პანდემიურ თუ პოსტპანდემიურ პროცესებთან გასამკლავებლად. პანდემიის პერიოდში საქართველოში ამერიკული ადვოკატირების კვლევა გვეხმარება გავაანალიზოთ სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულებით არსებული საკითხები. მაგალითად, საერთაშორისო კომუნიკაციის ტენდენციები და სახალხო დიპლომატიის დინამიკა ჰიბრიდული გამოწვევების ფონზე.

აღნიშნული კვლევა ინტერდისციპლინურია და აერთიანებს ჰუმანიტარული, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა დარგს, მათ შორის: ისტორიას, ამერიკისმცოდნეობას, სახალხო დიპლომატიას, მედიის კვლევას, ჟურნალისტიკას, საერთაშორისო ურთიერთობას, საგარეო პოლიტიკასა და ეროვნულ უსაფრთხოებას. კვლევის მეთოდოლოგიური ბაზა, ამ დარგებში აპრობირებულ სხვადასხვა მეთოდს ეფუძნება. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ისტორიული კომპარატივისტიკის, კრიტიკული ანალიზის, პირველწყაროების ანალიზის, შემთხვევის შესწავლის, შედარებითი ანალიზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები. ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით აღწერილია, პანდემიის პერიოდში, შეერთებული შტატების საკომუნიკაციო აქტივობები საქართველოში. კომპარატივისტიკის, კრიტიკული ანალიზის მეთოდებისა და სამეცნიერო ობიექტურობის პრინციპების საშუალებით, საკითხი სხვადასხვა საგარეოპოლიტიკური მოვლენის დინამიკაშია შესწავლილი და შედარებული. პირველწყაროების, მაგალითად, სიტყვით გამოსვლის ტექსტების შინაარსის შესწავლისა და ანალიზისთვის ძირითადად კოგნიტური კარტირების მეთოდი, კონტენტ-ანალიზი და ინტენტ-ანალიზი, სახალხო დიპლომატიასთან დაკავშირებული მოვლენების სტრუქტურირებისთვის კი, ივენთ-ანალიზია გამოყენებული. ასევე, კვლევის ფარგლებში, ჩატარებულია ინტერვიუები სახალხო დიპლომატიის სპეციალისტებთან კრიზისის პერიოდში ამერიკული საკომუნიკაციო სტრატეგიის კონტექსტის, შესაძლებლობისა და გამოწვევების შესაფასებლად.

იმის გამო, რომ საკვლევი თემა საკითხის სისტემური შესწავლის პირველი მცდელობაა, წარმოდგენილი ინფორმაცია ძირითადად ეფუძნება პირველად წყაროებს. ამ მიმართულებით მოძიებულია, დამუშავებული და გამოყენებულია საგარეო პოლიტიკასთან და სახალხო დიპლომატიასთან დაკავშირებული დოკუმენტები. ამასთანავე, კვლევისას გამოყენებულია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სოციალური მედიის ანგარიშებზე წარმოდგენილი საჯარო ინფორმაცია, რომელიც პანდემიის პერიოდში ამერიკული საკომუნიკაციო აქტივობების დასამუშავებლად მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს.

ეს აკადემიური ნაშრომი საინტერესო იქნება ქართული სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისთვის. ეს მათ როგორც თეორიული ცოდნის გაღრმავებაში, ასევე სამუშაო პრაქტიკის გაუმჯობესებაში დაეხმარება.

# ტერმინოლოგიური განსაზღვრება

კვლევაში ტერმინი „სახალხო დიპლომატია“ (Public Diplomacy) გამოყენებულია კონკრეტული განსაზღვრებით, რომელიც წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. ამ განსაზღვრების მიხედვით, ამერიკული სახალხო დიპლომატია მოწოდებულია მხარი დაუჭიროს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეოპოლიტიკური მიზნებისა და ამოცანების მიღწევას, განამტკიცოს ეროვნული ინტერესები და გააძლიეროს ეროვნული უსაფრთხოება ორი ძირითადი გზით: პირველი, უცხოური საზოგადოებების ინფორმირებითა და მათზე ზეგავლენის მოხდენით; მეორე, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, ხალხსა და დანარჩენი მსოფლიოს მოქალაქეებს შორის ურთიერთობის გაფართოებითა და გაძლიერებით.[1]

წინამდებარე კვლევა ადვოკატირების (Advocacy) შესახებ სახალხო დიპლომატიის პროფესორის ნიკოლას ქალის კონცეფტუალურ თვალსაზრისს ეფუძნება. ტერმინი „Advocacy” ქართულად შესაძლებელია ითარგმნოს როგორც პროპაგანდა და/ან დაცვა.[2] თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დიპლომატიის ამერიკული გაგება არ გულისხმობს პროპაგანდას; ამიტომ, უმჯობესი იქნება, თუ ამ ტერმინის ქართულ ენაზე შინაარსობრივად შედარებით ზუსტი წარმოდგენისთვის მას გამოვიყენებთ მეორე მნიშვნელობით, რომელიც არის დაცვა, ადვოკატირება. ნიკოლას ქალის მიხედვით, ადვოკატირება გულისხმობს „მოთამაშის მცდელობას, მართოს საერთაშორისო გარემო საერთაშორისო საკომუნიკაციო აქტივობით კონკრეტული პოლიტიკის, იდეის ან მოთამაშის იმ ზოგადი ინტერესების ხელშესაწყობად, რომელიც უცხოური საზოგადოებისთვისაც საზიაროა“.[3]

რა მიმართება არსებობს სახალხო დიპლომატიასა და ადვოკატირებას შორის? ადვოკატირება წარმოადგენს სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს მოსმენასთან, კულტურულ დიპლომატიასთან, გაცვლითი პროგრამების დიპლომატიასთან და საერთაშორისო მაუწყებლობასთან ერთად.[4] სახალხო დიპლომატიაში ადვოკატირების ოთხი მთავარი მიდგომა გამოიყენება: (1) პირდაპირი მოწოდება (Direct appeal); (2) არაპირდაპირი მოწოდება (Indirect appeal); (3) შეტყობინების სივრცის გაზრდა (Crowding the message space); (4) პარტნიორობა (Partnership).

პირდაპირი მოწოდება მოიცავს იმ აქტივობებს - სიტყვით გამოსვლის ტექსტი, ღონისძიებები - რომლებიც მკითხველსა და მსმენელს წარმოადგენს გავლენის ობიექტად.[5] არაპირდაპირი მოწოდება ორმხრივი პროცესია; მისი მთავარი სამიზნე მოსაზრებების და შეხედულებების მიმღები პირები არიან, რომლებიც მიღებულ ინფორმაციას, შეტყობინებას გადასცემენ აუდიტორიას.[6] შეტყობინების სივრცის ზრდის დროს, რომელიც აერთიანებს პირდაპირი და არაპირდაპირი მოწოდების კომპონენტებს, ყურადღება გამახვილებულია გამოქვეყნებული

[1] About Us – Under Secretary for Public Diplomacy and Public Affairs. Under Secretary for Public Diplomacy and Public Affairs. U.S. Department of State Website. **https://www.state.gov/about-us-under-secretary-for-public-diplomacy-and-public-affairs/** (მოძიებულია 20.10.2020)

[2] დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი. **https://dictionary.ge/ka/word/advocacy/** (მოძიებულია 12.01.2021)

[3] Cull, Nicholas J. Public Diplomacy: Foundations for Global Engagement in the Digital Age. Newark: Polity Press, 2019, 39.

[4] Cull, Nicholas J. The Cold War and the United States Information Agency: American propaganda and public diplomacy, 1945-1989. Cambridge; New York: Cambridge University Press, 2008, 486.

[5] Cull, Nicholas J. Public Diplomacy: Foundations for Global Engagement in the Digital Age. Newark: Polity Press, 2019, 47.

[6] Ibid.

ინფორმაციის მოცულობაზე.[7] ამ სამი მიდგომისაგან განსხვავებით, პარტნიორობის დროს მთავარი ყურადღება გამახვილებულია აუდიტორიის გაძლიერებაზე.[8]

კვლევაში გამოყენებული ტერმინი „ციფრული ადვოკატირება“, კვლევის ამ კონკრეტულ კონტექსტში, გულისხმობს ადვოკატირების მიდგომის გამოყენებას ინტერნეტ სივრცეში. ნაშრომში ასევე გამოყენებულია ტერმინი „ციფრული დიპლომატია“, რომელიც, საკვლევი საკითხებიდან გამომდინარე, ახალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო მიდგომების გამოყენებას გულისხმობს, საზოგადოებრივი ჩართულობისა და დპლომატიური მიზნების განსამტკიცებლად.

[7] Ibid.

[8] Ibid.

# 2. ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია პანდემიის პერიოდში

სახალხო დიპლომატიის გავრცელებული მანდატი - საერთაშორისო საზოგადოებას, ნდობისა და თავდაჯერებულობის შთაგონებით, პოლიტიკისა და გეგმების შესახებ მკაფიო, თანმიმდევრული განმარტება მიაწოდოს - კრიზისის დროს უფრო მეტად გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.[16]

კრიზისის პერიოდში საკომუნიკაციო სტრატეგიის დაგეგმვისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას უსაფრთხოების სწრაფადცვალებადი და არაპროგნოზირებადი გარემო წარმოადგენს, იქნება ეს ჯანდაცვის, საინფორმაციო, ეკონომიკური თუ სხვა. ტრადიციულად, ამერიკული სახალხო დიპლომატია, საზოგადოებრივი ჩართულობის სხვადასხვა მიმართულებით, წინასწარ გაწერილ და შემუშავებულ სტრატეგიას მოიცავს. მისი დაგეგმვისას, არსებული თუ მოსალოდნელი რისკები და გამოწვევებია განსაზღვრული. ამჟამინდელმა პანდემიამ გამოცდა მოუწყო ამერიკულ სახალხო დიპლომატიას, რადგან მისი აქტივობები, ერთის მხრივ, შეცვლილ საერთაშორისო რეალობას, ხოლო, მეორეს მხრივ, ამ შეცვლილი საერთაშორისო რეალობის გათვალისწინებით, მასპინძელი სახელმწიფოს საზოგადოებაში წარმოქმნილ საჭიროებებს მყისიერად უნდა მორგებოდა იმგვარად, რომ არ დარღვეულიყო ბალანსი, სახალხო დიპლომატიის შემმუშავებელი და სამიზნე აუდიტორიის ეროვნული ინტერესების განმტკიცებას შორის.

ამერიკული სახალხო დიპლომატიის პროფესორი ნიკოლას ქალი, პანდემიას შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიისთვის მკაცრ გამოწვევად მიიჩნევს. მისი აზრით, პანდემიის პერიოდში ინდივიდუალური უფლებები უდავო პასუხისმგებლობაა და პანდემია საზოგადოების ყურადღებას მიმართავს შეერთებული შტატების ჯანდაცვის სისტემის სისუსტისკენ. თუმცა, პროფესორი ქალი იმასაც აღნიშნავს, რომ პრაქტიკული კომუნიკაციის ცვლილება პანდემიის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატებისთვის არის შესაძლებლობა; რადგან, ონლაინ ფორმატზე გადართვისთვის სხვების [უცხოური საზოგადოებების - ავტ.] დახმარება კრიზისიდან მისთვის მონაგები იქნება.[17]

სახალხო დიპლომატიის ამერიკელი პროფესორის ფილიპ სიბის აზრით, სახალხო დიპლომატია შეიძლება განხორციელდეს მოგვიანებით იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებული შტატები მონაწილეობას მიიღებს სხვა სახელმწიფოებთან ერთად მსოფლიოში კოვიდ-19-ის განმეორების თავიდან ასაცილებლად და სამომავლო პანდემიისგან უკეთ დასაცავად.[18]

ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური სამსახურის წევრი ალთეა ქოლი-მერფრი აღნიშნავს, რომ პანდემია ამერიკული სახალხო დიპლომატიისთვის, როგორც გამოწვევა, ასევე შესაძლებლობაა. მისი თქმით, ისეთი პროგრამებით, როგორიცაა „ამერიკული მოთხრობის დრო" მათ ქართველები მიიპატიჟეს საკუთარ სახლებში და წარუდგინეს ამერიკული კულტურის

[16] Wang, Jian (Jay). Public Diplomacy in the Age of Pandemics. University of Southern California Center on Public Diplomacy Blog. 18.03.2020. **https://uscpublicdiplomacy.org/blog/public-diplomacy-age-pandemics** (მოძიებულია 20.10.2020)

[17] ინტერვიუ ნიკოლას ქალთან. ჩაიწერა მარიამ ხატიაშვილმა. 23.11.2020.

[18] ინტერვიუ ფილიპ სიბთან. ჩაიწერა მარიამ ხატიაშვილმა. 23.11.2020.

# 1. ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობა სახალხო დიპლომატიის კონტექსტში

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე საუბრისას, განსაკუთრებულ ყურადღებას სახალხო დიპლომატიის კომპონენტი იმსახურებს. ჩემი აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში საზოგადოებრივი ჩართულობის მექანიზმის არსებობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქართულ-ამერიკული ურთიერთობის წარმატებული შენარჩუნება, როგორც ამ ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებამდე, ასევე მის შემდეგ. ვფიქრობ, სახალხო დიპლომატია ეფექტურად იყო გამოყენებული ქართულ-ამერიკული დიპლომატიური ურთიერთობის კონტურების წარმოქმნისას; დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგ კი, საქართველოს მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და თავდაცვის მოლაპარაკებების პარალელურად, სახალხო დიპლომატია შეუცვლელ კომპონენტს წარმოადგენს.

დღესდღეობით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავება და კულტურული გაცვლის გაფართოება, რაც სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი ძირითადი შინაარსია, ამ ორი სახელმწფიოს სტრატეგიული პარტნიორობის ერთ-ერთი მიმართულებაა.[9] ეს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისა და ურთიერთგაგების გაზრდის ხელშემწყობ ფაქტორად არის მიჩნეული.

ამასთანავე, ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცება, თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულებაა.[10] ორმხრივი დიპლომატიის ფარგლებში, შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისას, საქართველოს საგარეო პოლიტიკის სფეროში სახალხო დიპლომატიის ელემენტი, ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს პოპულარიზაციისთვის არის ჩართული. როგორც 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაშია ჩამოყალიბებული, პოპულარიზაცია, საქართველოს საკითხის აქტუალობის შენარჩუნებას ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ დღის წესრიგში და საზოგადოებაში ქვეყნის შესახებ ცნობადობის ამაღლებას გულისხმობს.[11]

სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, შინაარსობრივად, მოცულობით, რაოდენობრივად თუ სიხშირით, ამერიკული სახალხო დიპლომატიის აქტივობები საქართველოში ჭარბობს ქვეყნის სახალხო დიპლომატიის აქტივობებს შეერთებულ შტატებში. თუმცა, ცხადია, რომ სახალხო დიპლომატია, როგორც საგარეოპოლიტიკური კომპონენტი, ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და განსაზღვრავს თანამშრომლობის თანამედროვე მიმართულებებს.

[9] ამერიკის შეერთებული შტატები-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. 2009, 5. PDF.

[10] 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. 9. PDF.

[11] იგივე, 10.

ამერიკული სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი მახასიათებელია ის, რომ საკუთარი ეროვნული ინტერესების განმტკიცებისთვის, შეერთებული შტატები მასპინძელი სახელმწიფოს, სამიზნე აუდიტორიის, ეროვნული ინტერესების განმტკიცებას უწყობს ხელს. ეს კარგად ჩანს საქართველოს მაგალითზე. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ შეერთებული შტატებისა და საქართველოს ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავება და კულტურული გაცვლის გაფართოება, როგორც ამ ორი სახელმწიფოს სტრატეგიული პარტნიორობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების წინაპირობაა. ეს პირდაპირ ეხმიანება საქართველოს ერთ-ერთ ეროვნულ ინტერესს, რომელიც სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებასა და დემოკრატიის განმტკიცებას გულისხმობს.[12]

კოვიდ-19-ის კრიზისის პერიოდმა, ქართულ-ამერიკული ურთიერთობის მიმართულებით, სახალხო დიპლომატიის კომპონენტი საგარეო პოლიტიკაში კიდევ უფრო დააწინაურა. როგორც საქართველოში შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგნანმა აღნიშნა, „ჩვენ ერთად გავდივართ ამ რთულ პერიოდს და ამავდროულად ვაღრმავებთ იმ ფუნდამენტს, რაც წლების განმავლობაში თანამშრომლობის შედეგად ჩამოვაყალიბეთ."[13] პანდემიის პერიოდმა ქართულ-ამერიკულ ურთიერთობაში, ამერიკული სახალხო დიპლომატიის საშუალებით, ხანგრძლივი თანამშრომლობის სარგებელი აჩვენა. გარდა ამისა, ამ პანდემიამ ქართველი ხალხისთვის სახალხო დიპლომატიის პროგრამებით უფრო მეტი სერვისისა და შესაძლებლობის შეთავაზების აუცილებლობაც გამოკვეთა.

საინტერესოა, პანდემიის პერიოდში, როგორ წარადგინაამერიკულმა სახალხო დიპლომატიამ თავისი არსი და შესაძლებლობა ქართულ-ამერიკული ორმხრივი ურთიერთობის ფორმატში. როგორც ალთეა ქოლი-მერფრი, ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური სამსახურის წევრი, ამჟამად საქართველოში შეერთებული შტატების საელჩოს საინფორმაციო ოფიცრის ასისტენტი, აღნიშნავს, სახალხო დიპლომატიის წარმატებული განხორციელება პირისპირ, პირადი შეხვედრების დროს არის შესაძლებელი; თუმცა, პანდემიის პერიოდში ვირტუალური პროგრამები დაეხმარა ამერიკულ სახალხო დიპლომატიას შეენარჩუნებინა ეს ურთიერთობა, რომელიც, შესაძლოა, დაკარგულიყო იმ შემთხვევაში, თუ სახალხო დიპლომატიაში ეს მიდგომები არ იქნებოდა გამოყენებული.[14] „უნდა გვახსოვდეს, რომ ბევრ ხალხს არ აქვს ინტერნეტზე წვდომის შესაძლებლობა, ან მოწყობილობები ონლაინ პროგრამებში მონაწილეობისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ამ თემში მისვლა და პირადი შეხვედრების ფორმატის პროგრამების განახლება მაშინვე, როდესაც ამის განსახორციელებლად უსაფრთხო პერიოდი იქნება," - აღნიშნავს იგი. მისივე თქმით, ამ მომენტში, რადგან ჯერ პანდემიის შუა პერიოდში ვართ, რთულია პანდემიის ხანგრძლივი გავლენის შეფასება იმაზე, თუ რამდენად შეცვლის ეს პერიოდი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიის მომავალს. ტრადიციული აქტივობების აღდგენის შემდეგ, როგორებიცაა საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები და ღონისძიებები, რომელსაც ხალხი ესწრება, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატიაში, შესაძლოა, მიდგომები ერთმანეთს შეერიოს. მაგალითად, როგორც ალთეა ქოლი-მერფრი აღნიშნავს, მას სურს, რომ საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკებში მოწყობილ ამერიკულ კუთხეებში რეგულარულად ჩატარდეს ღონისძიება - „მოთხრობის დრო", რომელსაც, ინგლისურ ან ქართულ ენაზე წაკითხული მოთხრობის მოსასმენად, ოჯახები ბავშვებთან ერთად დაესწრებიან. „ეს ამერიკულ საჯარო ბიბლიოთეკებში დიდი ხნის ტრადიციაა; მეტი კითხვისთვის ხალხის წახალისებას ჩვენ ყოველთვის ძლიერად ვუჭერდით მხარს," - ამბობს იგი.[15]

[12] საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. 2. PDF.

[13] ელჩი დეგნანის ვირტუალური პრესკონფერენციის შესავალი სიტყვა (20 მაისი). საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ვებგვერდი. https://ge.usembassy.gov/ka/ambassador-degnans-opening-remarks-during-her-virtual-press-conference-may-20-ka/ (მოძიებულია 10.20.2020)

[14] ინტერვიუ ალთეა ქოლი-მერფრისთან. ჩაიწერა მარიამ ხატიაშვილმა. 25.11.2020.

[15] იგივე.

ისეთი ელემენტები, რომელსაც სხვა მხრივ ვერ გაეცნობოდნენ. „ამ პროგრამამ ხალხს ჩვენი თავი „მოუმზადებელ“ მომენტებში გააცნო, რადგან ზოგჯერ არ იყო სწორი განათება, მიკროფონი არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც ჩვენ გვინდოდა და ფეისბუქ ლაივის დროს მონტაჟი შეუძლებელია,“ - მიუთითებს იგი. როგორც ალთეა ქოლი-მერფრი აღნიშნავს, პანდემიამ დროებით შეაჩერა საერთაშორისო მოგზაურობის დიდი ნაწილი და დიდი ზომის ღონისძიებები, რაც ხალხთა დასაკავშირებლად მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა. იგი იმედოვნებს, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ კვლავ აქტიურად გააგრძელებენ ვირტუალური პროგრამების გამოყენებას, მისცემენ ხალხს მეტი არჩევანის შესაძლებლობასა და უფრო ხელმისაწვდომ საშუალებებს საერთაშორისო კულტურულ და პროფესიულ პროგრამებში მონაწილეობისთვის; ამასთანავე, როგორც ალთეა ქოლი-მერფრი მიუთითებს, ეს სრულად ვერ ჩაანაცვლებს იმას, რისი გაკეთებაც ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილას, ხალხის ერთად ყოფნას შეუძლია.[19]

პანდემიის პერიოდში სახალხო დიპლომატიის აქტივობების შენარჩუნება ხელს უწყობს სახელმწიფოებრივი რეპუტაციის განმტკიცებას და ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის, სახალხო დიპლომატიის სფეროში, ექსპერიმენტული მიდგომების გამოყენებისთვის. შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ მახასიათებლებმა განსაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო დიპლომატია პანდემიის პერიოდში. ამასთანავე, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროში შეერთებული შტატების ძლიერი რეპუტაციის გამო ამ და სამომავლო პანდემიასთან გასამკლავებლად ბევრისთვის ამერიკული უნივერსიტეტები და კვლევითი ორგანიზაციები იდეების წყარო შეიძლება გახდეს.[20] ეს კიდევ უფრო ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის ამერიკული სახალხო დიპლომატიის განვითარებისთვის განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას დიდი რესურსი და პოტენციალი აქვს კიდევ უფრო მეტად მიმზიდველი გახდეს მსოფლიოს სხვადსხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის, პანდემიასთან და კრიზისთან გასამკლავებლად აუცილებელი პროფესიებისა და უნარ-ჩვევების განსავითარებელი პროგრამების დასაუფლებლად.

[19] ინტერვიუ ალთეა ქოლი-მერფრისთან. ჩაიწერა მარიამ ხატიაშვილმა. 25.11.2020.

[20] Wike, Richard. Attitudes and the Information Environment for Public Diplomacy. *In Teaching Public Diplomacy and the Information Instruments of Power in A Complex Media Environment: Maintaining a Competitive Edge.* U.S. Advisory Commission on Public Diplomacy. August, 2020. Edited by Walker, Vivian S, and Finley, Sonya. **https://bit.ly/38tO187** (მოძიებულია 10.20.2020)

# 3. ამერიკის შეერთებული შტატების ციფრული ადვოკატირება საქართველოში

ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური მისია საქართველოს საზოგადოებასთან ციფრული კომუნიკაციისთვის 2009 წლიდან Facebook-ს, 2010 წლიდან YouTube-ს, 2011 წლიდან Twitter-ს, 2012 წლიდან Flickr-ს, ხოლო 2015 წლიდან Instagram-ს იყენებს. ამ სოციალური მედია პლატფორმებიდან ყველაზე ბევრი გამომწერი, 140 000-ზე მეტი, ჰყავს Facebook-ს.[21] გამომწერების რაოდენობის მიხედვით, 24 500-ზე მეტი გამომწერით მეორე ადგილზეა Twitter-ი,[22] ხოლო მესამე ადგილზე, 4 000-ზე მეტი გამომწერით Instagram-ი.[23] შემდეგ მოდის Youtube-ი 1500-ზე მეტი,[24] მეხუთე ადგილზე კი Flickr 63[25] გამომწერით. გამომწერების რაოდენობამ პირდაპირი გავლენა შეიძლება მოახდინოს სახალხო დიპლომატიის სტრატეგიის დაგეგმვაზე. სოციალური მედია პლატფორმის სერვისების მრავალფეროვნებისა და მომხმარებლების რაოდენობის მიხედვით, საქართველოში ამერიკული ციფრული დიპლომატიის საყრდენს Facebook-ი წარმოადგენს. პანდემიის პერიოდში, ამერიკულ ციფრულ დიპლომატიაში, ეს სოციალური მედია პლატფორმა კვლავ ცენტრალურ ადგილს ინარჩუნებს.

პანდემიის დასაწყისიდან საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ ფეისბუქ გვერდი, სოციალური მედიის არსებულ სხვა პლატფორმებთან შედარებით, ქართულ საზოგადოებას ციფრული დიალოგის ფორმატში შესთავაზა. გამოქვეყნებული ფეისბუქ პოსტები შესაძლებელია დაჯგუფდეს ოთხ კატეგორიად: (1) ზოგადი პოსტები - პოსტები, რომლებიც ინფორმაციულად და თემატურად არ უკავშირდება პანდემიის საკითხებს; (2) პანდემიის თემატური პოსტები - პოსტები, რომლებიც თემატურად უკავშირდება პანდემიის საკითხებს; (3) პანდემიასთან დაკავშირებით პრაქტიკული აქტივობის ამსახველი თემატური პოსტები - პოსტები, რომლებიც, პანდემიის პერიოდში, საქართველოს მიმართ შეერთებული შტატების მთავრობის დახმარების შესახებ ინფორმაციას გადმოსცემს; (4) პანდემიის პერიოდის სახალხო დიპლომატიის აქტივობების პოსტები - პოსტები, რომლებიც ამერიკული სახალხო დიპლომატიის იმ ღონისძიებების პირდაპირი ნაწილია, რომელთა ფორმატიც, პანდემიის პირობების გათვალისწინებით შეიცვალა.

კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია ფეისბუქ პოსტების მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიაზე, რადგან ეს კატეგორია, პანდემიის პერიოდში, ამერიკული საკომუნიკაციო აქტივობების შესახებ უფრო ფართო სურათის წარმოდგენაში გვეხმარება.

[21] U.S Embassy Tbilisi, Georgia Facebook Page. **https://www.facebook.com/usingeo/** (მოძიებულია 20.10.2020)

[22] U.S Embassy Tbilisi, Georgia Twitter Page. **https://twitter.com/usingeo** (მოძიებულია 20.10.2020)

[23] U.S Embassy Tbilisi, Georgia Instagram Page. **https://www.instagram.com/usingeo/** (მოძიებულია 20.10.2020)

[24] U.S Embassy Tbilisi, Georgia YouTube Page. **https://www.youtube.com/user/USEmbassyTbilisi** (მოძიებულია 20.10.2020)

[25] U.S Embassy Tbilisi, Georgia Flickr Page. **https://www.flickr.com/photos/usembassytbilisi** (მოძიებულია 20.10.2020)

## 3.1. პანდემიის თემატიკა ციფრული კომუნიკაციის კონტექსტში

მეორე კატეგორიის პოსტები, რომლებიც თემატურად პანდემიის საკითხებს უკავშირდება, შესაძლებელია რამდენიმე მიმართულებით გაიშალოს:

პირველი მიმართულება მოიცავს მადლობისა და მისალმების გამოხატვას კოვიდ-19-ის პანდემიასთან ბრძოლის წინა ხაზზე მყოფი საზოგადოების იმ ჯგუფებისთვის, რომელიც მოსახლეობას უსაფრთხოდ და ჯანმრთელად ყოფნაში ეხმარება. 2020 წლის აპრილისა და მაისის თვეში საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფეისბუქ გვერდზე ქვეყნდებოდა მადლობისა და მისალმების გამომხატველი პოსტები სასწრაფო დახმარების სამედიცინო პერსონალის,[26] დასუფთავების სამსახურის,[27] ჯანდაცვის სფეროსა[28] და სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებს,[29] საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატასა და მის წევრ კომპანიებს,[30] შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის ძალებს,[31] ჟურნალისტების, ფოტოგრაფებისა და ოპერატორების,[32] განათლების პროფესიონალების,[33] დეზინფორმაციის ფონზე, სიმართლის დამცველი პროფესიონალების,[34] დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და ხელისუფლების მითითებების გამთვალისწინებელი მოქალაქეების,[35] საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების,[36] საქართველოს რეგიონებში მყოფი სამედიცინო პერსონალის,[37] სასურსათო მაღაზიებში, აფთიაქებსა და სხვა აუცილებელი ეკონომიკური საქმიანობის ობიექტებში მომუშავე ხალხის,[38] COVID-19-ის საპასუხო ქმედებების მხარდამჭერი მოხალისეების,[39] პოლიციელების[40] მისამართით. ეს ციფრული საკომუნიკაციო კამპანია გამორჩეულია იმით, რომ, მადლობისა და მისალმების გამოხატვასთან ერთად, გამოქვეყნებულ პოსტებში, აღნიშნული იყო ამ საზოგადოებრივი რგოლის ჩართულობის მნიშვნელობა კრიზისთან გამკლავების პროცესში. ეს, თავისთავად, როგორც ქართული საზოგადოების ამ ცალკეული ჯგუფების ღვაწლისა და დაფასების გამოხატვისთვის დროული მოქმედება იყო, ასევე წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეებისთვის ციფრული კონსოლიდაციის ერთ-ერთ მაგალითს. ეს კამპანია ცხადყოფს საზოგადოების ყველა სეგმენტის მნიშვნელოვან როლს, საგარეო პოლიტიკაში გლობალური გამოწვევებისა და საკითხების გადაჭრისთვის.

[26] U.S. Embassy Tbilisi, Georgia Facebook Page. 01.04.2020. **https://www.facebook.com/usingeo/photos/10158112540032954** (მოძიებულია 10.10.2020)

[27] U.S. Embassy Tbilisi, Georgia Facebook Page. 03.04.2020. **https://www.facebook.com/usingeo/photos/10158119338902954** (მოძიებულია 10.10.2020)

[28] U.S. Embassy Tbilisi, Georgia Facebook Page. 07.04.2020. **https://www.facebook.com/usingeo/photos/10158132145022954** (მოძიებულია 10.10.2020)

[29] U.S. Embassy Tbilisi, Georgia Facebook Page. 10.04.2020. **https://www.facebook.com/usingeo/photos/10158142217257954** (მოძიებულია 10.10.2020)

[30] U.S. Embassy Tbilisi, Georgia Facebook Page. 08.04.2020. **https://www.facebook.com/usingeo/photos/10158135418477954** (მოძიებულია 10.10.2020)

[31] U.S. Embassy Tbilisi, Georgia Facebook Page. 15.04.2020. **https://www.facebook.com/usingeo/photos/10158159529417954** (მოძიებულია 10.10.2020)

[32] U.S. Embassy Tbilisi, Georgia Facebook Page. 16.04.2020. **https://www.facebook.com/usingeo/photos/10158162968037954** (მოძიებულია 10.10.2020)

[33] U.S. Embassy Tbilisi, Georgia Facebook Page. 22.04.2020. **https://www.facebook.com/usingeo/photos/10158185678552954** (მოძიებულია 10.10.2020)

[34] U.S. Embassy Tbilisi, Georgia Facebook Page. 24.04.2020. **https://www.facebook.com/usingeo/photos/10158194029397954** (მოძიებულია 10.10.2020)

[35] U.S. Embassy Tbilisi, Georgia Facebook Page. 29.04.2020. **https://www.facebook.com/usingeo/photos/10158213443987954** (მოძიებულია 10.10.2020)

[36] U.S. Embassy Tbilisi, Georgia Facebook Page. 01.05.2020. **https://www.facebook.com/usingeo/photos/10158220325922954** (მოძიებულია 10.10.2020)

[37] U.S. Embassy Tbilisi, Georgia Facebook Page. 06.05.2020. **https://www.facebook.com/usingeo/photos/10158238530382954** (მოძიებულია 10.10.2020)

